

## თავი 26 საჭიროებისდა მიხედვით

ბარაბნების გამაყრუებელმა ხმამ როგორც იქნა დაამშვიდა დარბაზი. შოუმენმა ხელი აუდიტორიისკენ გაიშვირა:

– თქვენ, მშობლებო, საკმაოდ დიდი ხანია ელოდით ჩვენს ფინალს. თქვენი შვილების თორმეტწლიანი სწავლის ეტაპი დასასრულს უახლოვდება. ეს გამოსაშვები კონკურსია.

ორღანის მუსიკამ მოიცვა დარბაზი. უცებ გვერდითი კარებები გაიღო და დარბაზში მარშით შემოვიდნენ აკადემიურ ქულებსა და მანტიებში გამოწყობილი სტუდენტები. პუბლიკა კვლავ აპლოდისმენტებითა და სტვენით შეეგება მათ.

ჯონათანმა მის გვერდით მჯდომ ქალს წასწურა:

– რას ნიშნავს გამოსაშვები კონკურსი? ქალი მისკენ ნახევრად მიბრუნდა და უპასუხა:

– ეს შეჯიბრია სახელმწიფო სკოლების ახალგაზრდებს შორის, – იგი გაჩუმდა, რათა გაეგო, რას ამბობდა წამყვანი. შემდეგ კი უფრო ხმამაღლა განაგრძო მისი ხმის გაგება შესაძლებელი რომ ყოფილიყო ასეთ ხმაურში.

– ეს კლასიკური განათლების კულმინაციაა. აქამდე კლასიკური განათლების მიზანი გულმოდგინე მუშაობისა და ცოდნის ძიების დემონსტრირება იყო. დღეს ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ საუკეთესო სტუდენტებს მათი მიღწევებისთვის. მაგრამ მთავარი პრიზი ჯერ არ გამოუცხადებიათ, სამახსოვრო პრიზი გადაეცემა გამარჯვებულს.

ჯონათანმა სცენისკენ გაიხედა და მიხვდა, რომ ვიღაც ეცნო:

– ვინ ესალმება სტუდენტებს?

– ეს ხომ ლედი ბეს ტვიდია. გაზეთებიდან ვერ იცანი? ის ჩვენი სახელგანთქმული სპიკერია. ლორდთა საბჭოს წევრი და პოლიტიკოსთა დედოფალი, ის ყოველთვის სასურველი სტუმარია. გარდა ამისა, მას ძალიან უყვარს პუბლიკასთან ურთიერთობა. მისი საქმიანობა მეტად პატივსაცემია კუნძულზე. ამიტომაც მისი კანდიდატურა ყველაზე მისაღებია გამოსაშვები კონკურსისათვის.

– როგორ წარმართება კონკურსი? – იკითხა ჯონათანმა.

ქალი ჯონათანისკენ გადაიხარა და უთხრა:

– ლედი ბეს ტვიდი წარმოსთქვამს თავის ერთ-ერთ უკვე მომზადებულ, ცნობილ პოლიტიკურ სიტყვას, სტუდენტები კი ჩაიწერენ ფრაზებს, რომლებიც ეწინააღმდეგება სკოლაში მათ მიერ შესწავლილს. ის, ვინც ყველაზე მეტ საპირისპირო ფრაზას ჩაიწერს გამარჯვებული იქნება და გადაეცემა სამახსოვრო პრიზი. ჩუუ, ლედი ტვიდმა დაიწყო. უსმინე.

– მაშ ასე, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ თავისუფლების ღირსებაზე, – თქვა ლედი ტვიდმა, – ვიცით პიროვნულ პასუხისმგებლობასა და თავისუფლებას როგორ მივყავართ სიმწიფისა და ზრდასრულობისკენ. მთელი თავისი არსებობის მანძილზე კაცობრიობა თავისუფლებისთვის იბრძოდა. რა მშვენიერია, რომ ჩვენ თავისუფალ კუნძულზე ვცხოვრობთ.

ქალმა სტუდენტებზე მიუთითა, რომლებიც ლედი ტვიდის უკან ისხდნენ სცენაზე.

– შეხედე როგორ შეუჩერებლად წერენ. ნუთუ ამდენი შენიშვნა აქვთ?!

– ეწინააღმდეგებოდა თუ არა ლედი ტვიდის ნათქვამი იმას, რაც თქვენ სკოლაში გასწავლეს?

ქალმა ჩაიციხა:

– თავისუფალი ნება? რა სისუფელეა. განათლების მიღება სავალდებულოა. ბავშვებს აიძულებენ დაესწონთ გაკვეთილებს და გადაიხადონ საფასური. ჩუმაღ!

– საბედნიეროდ, ჩვენ საუკეთესო სკოლები გვაქვს, განსაკუთრებით ახლა, როცა ეკონომისტებმა გვიწინასწარმეტყველეს რთული დრო, – თქვა ლედი ტვიდმა წკრიალა ხმით, – ჩვენი მასწავლებლები ღირსეული მაგალითები არიან, რომლებიც

სიმართლისა და ცოდნის შუქით დემოკრატიისა და კეთილდღეობისკენ მიმავალ გზას უკვალავენ ახალგაზრდებს.

ჯონათანის გვერდზე მდგომი ქალი აღტაცებისგან მის ხელს ჩაეჭიდა. უცებ წამოიძახა:

– ჩემი ქალიშვილი მეორე რიგშია, მარჯვნივ. წერს, დარწმუნებული ვარ ყველა შენიშვნას ჩაიწერს.

– ვერ გავიგე, – თქვა ჯონათანმა, – რა შენიშვნებს?

– საუკეთესო სკოლები? არჩევანი თუ არ გაქვს, შეუძლებელია შეადარო. ლედი ტვიდი ჩუმად აგზავნის შეილებს სოფელში სასწავლებლად. სამაგალითო მასწავლებლები? კმ! თორმეტი წლის განმავლობაში ბავშვები ჩუმად უნდა ისხდნენ და ასრულებდნენ დავალებებს. და რას იღებენ ისინი სანაცვლოდ? არაფერს, ქაღალდის ვარსკვლავებისა და თითოეული კლასიდან კლასში გადასასვლელი ნიშნების ფურცლის გარდა. მასწავლებლებს ქაღალდის ვარსკვლავებით რომ უხდიდნენ გასამრჯელოს, ამას მონობას დაარქმევდნენ და გაიფიცებოდნენ. გზას უკვალავენ დემოკრატიისკენ? ტყუილია! რასაც ისინი კლასში ასწავლიან ეს ავტოკრატიაა.

ლედი ტვიდმა მოკრძალებულად დახარა თავი.

– ახლა თქვენს ცხოვრებაში გარდატეხის პერიოდი დგება. თითოეულ ჩვენგანს კარგად ესმის, რომ ჩვენი ხმა არ არის ერთი უმნიშვნელო ხმა ადამიანთა ამ დიდ გუნდში. ჩვენ ვიცით, რომ ეს უმოწყალო კონკურენცია, ბინძური ბრძოლა ძალაუფლების ჩასაგდებად შეუფერებელია დღევანდელი მსოფლიოსთვის. ჩვენთვის უკეთილშობილესი ღირსება მსხვერპლის გაღებაა. მსხვერპლის გაღება მათთვის, ვინც ნაკლებად იღბლიანია.

ქალმა აღტაცებით შეჰყვირა:

– შეხედე, როგორ მუშაობენ ის სტუდენტები! ურთიერთწინააღმდეგობის ნამდვილი ოქროს საბადოა! ადამიანთა დიდი გუნდი? მსხვერპლის გაღება? სკოლაში მათ ყოველთვის ასწავლიდნენ პირადი კეთილდღეობისკენ მისწრაფებას. და თვითონ ტვიდიც არცთუ ისე მიაბიტია. ის ყველაზე ხმაურიანი, მომთხონი და უპრინციპო ადამიანია. მან ძალაუფლება ყველა შესაძლო ეშმაკობითა და ინტრიგით მოიხვეჭა. ამ სტუდენტებმა იციან, რომ მათ ამ მდგომარეობისთვის ზარმაცი სტუდენტებისთვის ნიშნების ჩუქების გზით არ მიუღწევიათ.

ჯონათანი მაინც ვერ მიხვდა რაში იყო საქმე.

– თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ სკოლაში პირადი წარმატებისთვის ბრძოლას ასწავლიან და გამოსაშვებ დღეს კი ლედი ტვიდი მათ მსხვერპლის გაღებას ასწავლის?

– მიხვდი როგორც იქნა, – უთხრა ქალმა, – ლედი ტვიდი ქადაგებს გარდაქმნილი სამყაროს შესახებ. თუ რა შესაძლებლობები და მოთხოვნები ექნება თითოეულს. ეს არის მათი მომავალი.

– არ შეიძლება მათ ერთი და იგივე რამ ასწავლონ სკოლაში და მისი დამთავრების შემდეგ? – იკითხა ჯონათანმა.

– ხელისუფლება მუშაობს ამ საკითხზე, – უპასუხა ქალმა. სკოლები ძველი მეთოდებით მუშაობენ, სადაც კარგი ცოდნისთვის წერენ უმაღლეს ნიშნებს. მომავალი წლისთვის ისინი შეფასების სისტემაში ცვლილებების შეტანას გეგმავენ. ნიშნები დაიწერება საჭიროების და არა დამსახურების მიხედვით. ყველაზე სუსტი სტუდენტები დაიმსახურებენ 5-ს და საუკეთესონი კი – 1-ს. ამბობენ, სუსტი სტუდენტებს უფრო მეტად სჭირდებათ კარგი ქულები, ვიდრე კარგ სტუდენტებს.

ჯონათანმა თავის დაქნევით გაიმეორა ქალის სიტყვები რათა დარწმუნებულიყო, რომ სწორად გაიგო მისი ნათქვამი.

– სუსტი სტუდენტები მიიღებენ 5-ს და საუკეთესოები კი – 1-ს.

– მართალია, – დაეთანხმა ქალი.

– მაგრამ ცოდნის დონე? ისე ხომ არ გამოვა, რომ ყველა შეეცდება ნაკლებუნარიანად მოგვაჩვენოს თავი?

– ლედი ტვიდი თვლის, რომ ეს რევოლუციური ჰუმანიტარული აქტი იქნება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. კარგი სტუდენტები მიხვდებიან, თუ რა ღირსება აქვს ადამიანთა მიერ მსხვერპლის გაღებას, ხოლო სუსტი სტუდენტები კი თავდაჯერებულობის ღირსებას გაეცნობიან. სკოლების დირექტორებს შესთავაზეს, ეს გეგმა მასწავლებლების დაწინაურებისთვისაც მიეღოთ.

– როგორ მოეწონათ ეს აზრი მასწავლებლებს? – იკითხა ჯონათანმა.

– ზოგს მოეწონა და ზოგს კი – არა. ჩემი ქალიშვილი მეუბნება, რომ ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში საუკეთესო მასწავლებლები წასვლით იმუქრებიან. სტუდენტებისაგან განსხვავებით, მასწავლებლებს ჯერჯერობით აქვთ არჩევანის ფუფუნება.